



საქართველოს კინემატოგრაფიის
ეროვნული ცენტრი
Georgian National
Film Center

ცნობის ფურცელი

2020





კონკურსები

1. დასრულდა სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის პროექტის განვითარების კონკურსის საბუთების მიღება.
2. მიმდინარეობს დოკუმენტური ფილმის პროექტის განვითარების დაფინანსების კონკურსის საექსპერტო კომისიის სხდომები.
3. დასრულდა მოკლემეტრაჟიანი ანიმაციური ფილმის პროექტის განვითარების დაფინანსების კონკურსის საექსპერტო კომისიის სხდომები.

საექსპერტო კომისია რეკომენდაციას აძლევს კინოცენტრს დააფინანსოს ქვემოთ ჩამოთვლილი შემდეგი 5 პროექტი:

- „სოხუმი“ – (საპროდიუსერო კომპანია – შპს „20 steps productions“, რეჟისორი – მამუკა ტყეშელაშვილი, სცენარის ავტორი – მამუკა ტყეშელაშვილი) – 15 000 (თხუთმეტი ათასი) ლარი;
- „მგელი ტატე“ – (საპროდიუსერო კომპანია – შპს „ეი-ბი-ჯგუფი“, რეჟისორი – ლილი დადიანი, სცენარის ავტორი – ლილი დადიანი) 8775 (თვა ათას შვიდას სამოცდათხუთმეტი) ლარი;
- „ერთი კაცის ნამღერი“ – (საპროდიუსერო კომპანია – აიპ „საქართველოს საზოგადოებრივ-საგანმანათლებლო მოძრაობა – კვალი XXI, რეჟისორი – პაატა შენგელია, სცენარის ავტორი – მარიამ კანდელაკი) – 15430 (თხუთმეტი ათას ოთხას ოცდაათი) ლარი;
- „ქალაქის თვითმფრინავი“ – (საპროდიუსერო კომპანია – შპს „ანიმატორი“, რეჟისორი – თამთა მანაგაძე, სცენარის ავტორი – მინდია არაბული) – 9882 (ცხრა ათას რვაას ოთხმოცდაორი) ლარი;
- „რუ“ – (საპროდიუსერო კომპანია – შპს „ბასტი-ბუბუ“, რეჟისორი – ირინე გელაშვილი, სცენარის ავტორი – სალომე ბენიძე) 14 974 (თოთხმეტი ათას ცხრაას სამოცდათოთხმეტი) ლარი;

მოსამზადებელ პერიოდშია:

- სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ზამთრისპირის სევდა“ (პროდიუსერი - შპს „Film Asylum“, რეჟისორი - აკაკი შანშიაშვილი);
- სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „როცა 17 წლის ხარ“ (პროდიუსერი - შპს „ტერა ინკოგნიტო ფილმს“, რეჟისორი - გიორგი მუხაძე);
- სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „დროებითი ქერი“ (პროდიუსერი - შპს „ნატურა ფილმი“, რეჟისორი - გიორგი ქობალია);
- სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ვენეცია“ (პროდიუსერი - შპს „ნიკე სტუდო“, რეჟისორი - რუსუდან ჭყონია);
- სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „სად მიდის ლიზა“ (პროდიუსერი - შპს „N&N“, რეჟისორი - ნანა ჯანელიძე);
- სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „მოქალაქე წმინდანი“ (პროდიუსერი - შპს „არტიზმი“, რეჟისორი - თინათინ ყაჭრიშვილი);
- ანიმაციური ფილმი „კატოს სიზმრები“ (პროდიუსერი - შპს „20 steps productions“, რეჟისორი - ცოტნე რუსიშვილი);
- ქართულ-უცხოური წარმოების სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის პროექტი „ანტიკვარიანი“ (პროდიუსერი - შპს „სინეტექი“, რეჟისორი - რუსუდან გლურჯიძე);
- სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ანატორი: მკვდრების სოფელი“ (პროდიუსერი - შპს „სიბლერ ფროდაქშენი“, რეჟისორი - გიორგი გოგიჩაიშვილი);
- მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „შუშის კუნთი“ (პროდიუსერი - შპს „ნუში ფილმი“, რეჟისორი - ვაჟა ჩაჩიხანი);
- დოკუმენტური ფილმი „ბოლო ზარი“ (პროდიუსერი - შპს „ნატურა ფილმი“, რეჟისორი - ბესო (გივი) ოდიშრია);
- დოკუმენტური ფილმი „ატონალური გაბრწყინება“ (ააიპ „სპარკ“, რეჟისორი - ალექსანდრე ქორიძე);
- დოკუმენტური ფილმი „ოცნება კადილაკზე“ (შპს „პარაშუტი“, რეჟისორი - ელენე მიქაბერიძე);
- სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „წმინდა ელექტროენერგია“ (პროდიუსერი - შპს „ზანგო სტუდია“, რეჟისორი - ვახტანგ კოტეტიშვილი);
- სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ორმო“ (პროდიუსერი - შპს „ტერა ინკოგნიტო ფილმს“, რეჟისორი - გიორგი ჩალაური);
- მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „უხერხემლო“ (პროდიუსერი - შპს „Film Asylum“, რეჟისორი - გრიგოლ აბაშიძე);



“შუშის კუნთი”



“კავკასიონის ხუთი ხედი”

გადაღების პერიოდშია:

- სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „პეპლების იძულებითი მიგრაცია“ – (პროდიუსერი - შპს „სტუდია-99“, რეჟისორი - ნანა (ნინო) ჯორჯაძე);
- მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „მცხუნვარე მზეზე“ (პროდიუსერი - შპს „ტერა ინკოგნიტო ფილმს“, რეჟისორი - ნუცა წიქარიძე);
- მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ჰაერი ლურჯი აბრეშუმია“ – (პროდიუსერი - შპს „სტუდია კედარი“, რეჟისორი - ირინე ჟორდანიას);
- მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ტოტოს უკანასკნელი დღეები“ – (პროდიუსერი - შპს „ბი აი თი სტუდიო“, რეჟისორი - თორნიკე ტიკარაძე);
- დოკუმენტური ფილმი „კავკასიონის ხუთი ხედი“ (პროდიუსერი - შპს „EcoFilms“, რეჟისორი - ნიკა წიკლაური).
- ანიმაციური ფილმი „განდეგილი“ (პროდიუსერი - შპს „შემოქმედებითი საწარმოო გაერთიანება ლირა ფროდაქშენი“, რეჟისორი - დათო კიკნაველიძე);
- ანიმაციური ფილმი „ჩაკრულოს მოძებნა“ (პროდიუსერი - შპს „ვოქსელ“, რეჟისორი - თეიმურაზ სიხარულიძე);
- მოკლე მხატვრული ფილმი „მეზობელი“ (პროდიუსერი – შსგ „მეტრო ფილმ ფროდაქშენი“, რეჟისორი – დათო ბორჩხიძე);
- მოკლე მხატვრული ფილმი „აუზი“ (პროდიუსერი – შპს „ტერა ინკოგნიტო ფილმს“, რეჟისორი – სალომე ლაცაბიძე);
- მოკლე მხატვრული ფილმი „ჩატვირთვა“ (პროდიუსერი – შპს „დიგიტალ ქითჩენ ფილმსი“, რეჟისორი – გიორგი წილოსანი);
- მოკლემეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „ბერი“ (პროდიუსერი - შპს „ორნი“, რეჟისორი და სცენარის ავტორი - სანდრო სულაძე, თინიკო ნადირაშვილი);

- დოკუმენტური ფილმი „ლიმილიანი საქართველო“ (პროდიუსერი - შპს „1991 ფროდაქშენს“, რეჟისორი და სცენარის ავტორი - ლუკა ბერაძე);
- დოკუმენტური ფილმი „მულამათი“ (პროდიუსერი - ი/მ თამთა გაბრიჩიძე, რეჟისორი და სცენარის ავტორი - თამთა გაბრიჩიძე);
- სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „თხილი“ (პროდიუსერი - შპს „იბერიკა ფილმი“, რეჟისორი - ლევან კოლუაშვილი);
- მცირებუკეტიანი სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ინგა“ (პროდიუსერი - შპს „სიბლერ ფილმსი“, რეჟისორი - დავით აბრამიშვილი);
- დოკუმენტური ფილმი „რესპუბლიკა“ (პროდიუსერი - ააიპ „ოპიოდოკი“, რეჟისორები: ხვიჩა ემირიძე, თინათინ ემირიძე);
- დოკუმენტური ფილმი „მალა თაზო“ (პროდიუსერი - შპს. ს.ს.ს., რეჟისორი - თორნიკე ბზიავა);
- სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „დიდი შესვენება“ (პროდიუსერი - შპს „მილიმეტრ ფილმი“, რეჟისორი - დათა ფირცხალავა);
- სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ტერცო მონდო“ (პროდიუსერი - სს „ქართული ფილმი“, რეჟისორი - მერაბ კოკორაშვილი);

პოსტ-პროდუქციის ეტაპზე:

- მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ნათლობა იორდანეში“ (პროდიუსერი - შპს „სტუდია 99“, რეჟისორი - მიხეილ კვირიკაძე);
- მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „სამშოლოსათვის და სტალინისათვის“ (პროდიუსერი - ი/მ მარიამ ჭინჭარაძე, რეჟისორი - ნიკა გაბუნია);
- მოკლე მხატვრული ფილმი „გუშაგები“ (პროდიუსერი - შპს „ორნი“, რეჟისორი - სანდრო სულაძე);
- მოკლე მხატვრული ფილმი „პაპანაქება“ (პროდიუსერი - შპს „ნუში ფილმი“, რეჟისორი - თორნიკე გოგრიჭიანი);
- სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „მშვენიერი ელენე“ (პროდიუსერი - შპს „ვაგონეტი“, რეჟისორი - გიორგი ოვაშვილი);
- დოკუმენტური ფილმი „აღდგომა“ (პროდიუსერი - ააიპ „ნიკადოკ ფილმი“, რეჟისორი - ნიკოლოზ ბეჟანიშვილი);
- დოკუმენტური ფილმი „ჩემი მეზობელი“ (პროდიუსერი - ააიპ „კავშირი ოპიოდოკი“ რეჟისორი - მარადია ცაავა);



“რესპუბლიკა“



“გუშაგები“

- მცირებუჩქეთიანი სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ცხელი ზაფხული“ (პროდიუსერი - შპს „შვიდკაცა“, რეჟისორი - გია ბარაბაძე);
- სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ველი“ (პროდიუსერი - შპს „პანსიონატი“, რეჟისორი - გიორგი ცქვიტინიძე);
- ანიმაციური ფილმი „ფრენცის სასადილო“ (პროდიუსერი-ააიპ „სტუდია ჯიბის კაცი“, რეჟისორ/ანიმატორი - ანა ჩუბინიძე);
- ქართულ-უცხოური ერთობლივი წარმოების სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის პროექტი „ქარმა დაუბერა, ქალმა თავის აბრეშუმის ყელსახვევზე გაიფიქრა“ (პროდიუსერი - ააიპ საქდოკ ფილმი“, რეჟისორი - ალექსანდრე კობერიძე);
- ქართულ-უცხოური წარმოების სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის პროექტი „სამურაი დასვენების უამს“ (პროდიუსერი - შპს „ალამდარი“, რეჟისორი - ლევან თუთბერიძე);
- ქართულ-უცხოური წარმოების სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის პროექტი „წვიმა ორ ნაპირზე“ (პროდიუსერი - შპს „ბათუმის საავტორო ფილმების სტუდია“, რეჟისორი - ზაზა ხალვაში);
- მცირებუჩქეთიანი სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ალარ შემოძლია“ (პროდიუსერი - შპს „პარაშუტი“, რეჟისორი - ეკატერინე ჭელიძე);
- სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „ხელოსანი თუ ხელოვანი“ (პროდიუსერი - ი/მ პირი ნიკოლოზ აბრამაშვილი, რეჟისორი - გიორგი ცხვედიანი);

- სამონტაჟო პერიოდშია მოკლემეტრაჟიანი ანიმაციური ფილმი „ყვავი“ (პროდიუსერი - შპს „20 steps production“, რეჟისორ/ანიმატორი - ალექსანდრე ქათამაშვილი);
- ერთობლივი ქართულ-თურქული სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ხიდი“ (პროდიუსერი - სს „ქართული ფილმი“, რეჟისორი - ერეკლე ბადურაშვილი);
- მცირებიუჯეტიანი სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ზამთრის დეპრესია“, (პროდიუსერი - შპს „Film Asylum“, რეჟისორი - თამაზ ნარიშკიძე);
- სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ბოსტანი კონფლიქტის ზონაში“ (პროდიუსერი - შპს „სოლოსოლო“, რეჟისორი - ბესიკ სოლომანაშვილი);
- სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „რატომ ვართ ერთად“ (პროდიუსერი - შპს „სტუდია ფონოგრამი“, რეჟისორები - ილო ღლონტი, ლევან ღლონტი);
- სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „დრამერი“ (პროდიუსერი - შპს „პარაშუტი“, რეჟისორი - კონსტანტინე კალანდაძე);
- მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „უსაზღვროდ“ (პროდიუსერი და რეჟისორი - ფიზიკური პირი ლუკა მგელაძე);
- სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „მომავალი მომავლის შემდეგ“ (პროდიუსერი - შპს „ბათუმის საავტორო ფილმების სტუდია“; რეჟისორი სალომე და თამთა ხალვაში);
- სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „სატრფიალო პასტორალი“ (პროდიუსერი - შპს „თთფილმი“, რეჟისორი - თინათინ გურჩიანი);
- სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „მომთაბარე“ (პროდიუსერი - შპს „პანსიონატი“, რეჟისორი - ირაკლი მეთრეველი);
- მოკლემეტრაჟიანი ანიმაციური ფილმი „შეყვარებული ბაყაყი“ (პროდიუსერი - შპს „ელიენ ქინდ“, რეჟისორი - ვალ ხარიტონაშვილი);
- სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „ფიქრი“ (პროდიუსერი - ფ/პირი გელა კანდელაკი, რეჟისორი - გელა კანდელაკი);
- სადებიუტო სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „გაპიკოება“ (პროდიუსერი - ინდ/მეწარმე გიო მგელაძე - კატმანდუ, რეჟისორი - გიორგი მგელაძე);



“სამურაი დასვენების უამს“



“მშვენიერი ელენე“

დასრულდა

- მოკლე მხატვრული ფილმი „#26“ (პროდიუსერი – შპს „მილიმეტრ ფილმი“, დირექტორი – დავით უჭმაჭურიძე, რეჟისორი – გვანცა მეფარიშვილი);
- მოკლემეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „ლანა, ანუკა და ფეხბურთის მთელი გუნდი“ (პროდიუსერი - ააიპ „მიკროკოსმოსი“ სალომე ჯაში, რეჟისორი და სცენარის ავტორი - ქეთევან კაპანაძე);
- დოკუმენტური ფილმი „სამი ურო“ (პროდიუსერი - შპს „სტუდია 99“ - კარინე სარდლიშვილი, რეჟისორი - თამარ ბართაია, გიორგი ბართაია, სცენარის ავტორი - თამარ ბართაია);
- სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „ხე“ (პროდიუსერი - ააიპ „საქდოკ ფილმი“ დირექტორი - სალომე ჯაში, რეჟისორი - სალომე ჯაში);
- მოკლემეტრაჟიანი ანიმაციური ფილმი „მიტოვებული სოფელი“ (პროდიუსერი - ააიპ „კვალი XXI“ ცოტნე კალანდაძე, რეჟისორი - მარიამ კაპანაძე);
- ანიმაციური ფილმი „მამა“ (პროდიუსერი - ააიპ „ანიმაციის განვითარების ფონდი“, რეჟისორი - არჩილ კუხიანიძე).



“აღდგომა”



“მშთ - 15”

სცენარის შექმნის პროცესშია

- „რიკოშეტი ანუ ფრაგმენტები გამვლელთა ცხოვრებიდან“ – (საპროდიუსერო კომპანია – ააიპ “ტი-ეფ-ემ ფილმბრიტი”, სცენარის ავტორი – ბესო ოდიშარია);
- „მეზობლებს სძინავთ“ – (საპროდიუსერო კომპანია – შ.პ.ს “პარაშუტი”, სცენარის ავტორი – კონსტანტინე კალანდაძე, კეკო ჭელიძე.);
- „შემთხვევით ტყეში გამოვიარე“ – (საპროდიუსერო კომპანია – ააიპ “ტის სტრიტ ჰერტს მი”, სცენარის ავტორი – ანა ციმინტია.);
- „ძალდი უხმოდ ყეფს“ – (საპროდიუსერო კომპანია – შ.პ.ს “ნუში ფილმი”, სცენარის ავტორი – ვაჟიკო ჩაჩხიანი.);
- „მეათე მოწმე“ – (საპროდიუსერო კომპანია – შ.პ.ს. “Its STUDIO”, სცენარის ავტორი – გიგა ლიკლიკაძე.);
- „ნახევრად მოგონილი ამბავი“ – (საპროდიუსერო კომპანია – “მილიმეტრ ფილმი”, სცენარის ავტორი – ირინე ჟორდანიას, ირინე ჯავახიძე, დავით უჭმაჭურიძე.);
- „ოჯახი“ – (საპროდიუსერო კომპანია – შპს „მალჰოლანდ ფილმსი“, სცენარის ავტორი – მარიამ ბექაური.);
- „თარჯიმანი“ – (საპროდიუსერო კომპანია – შ.პ.ს “ა.კ.ა ფილმსი”, სცენარის ავტორი – ანა ხაზარაძე);
- „მეორეხარისხოვანი როლი“ – (საპროდიუსერო კომპანია – შ.პ.ს “ზაზა ფილმსი”, სცენარის ავტორი – ანა ურუშაძე.);

- „ხანძარი“ – (საპროდიუსერო კომპანია – შ.პ.ს „ფილმ Asylum“, სცენარის ავტორი – გიორგი ქობალია.);
- „მამა აბრამის ბატკანი“ – (საპროდიუსერო კომპანია – შ.პ.ს „ვაგონეტი“, სცენარის ავტორი – გიორგი ოვაშვილი);
- „ნება“ – (პროდიუსერი – ინდ/მენარმე „გიორგი ქობალია“, სცენარის ავტორი – გიორგი (ლაშა) ცქვიტინიძე);
- „შაუმიანი“ – (საპროდიუსერო კომპანია – შპს „ზანგო სტუდია“, სცენარის ავტორი – თორნიკე გოგრიჭიანი);
- „ლალ – კოლხური მისია“ – (საპროდიუსერო კომპანია – შ.პ.ს „ბათუმის საავტორო ფილმების დამოუკიდებელი სტუდია“, სცენარის ავტორი – ზაზა ხალვაში, ამირან დოლიძე);
- „მკვდრების ზღვა“ – (საპროდიუსერო კომპანია – შ.პ.ს „ბი-აი-თი სტუდია“, სცენარის ავტორი – ანი კვიჭიძე.);
- „მატახერია – ვარსკვლავის მსგავსი“ – (საპროდიუსერო კომპანია – შ.პ.ს „ეთიდაბლიუდი“, სცენარის ავტორი – თამარ შავგულიძე“).




ქართული კინოს ტრიუმფი სან-სებასტიანის საერთაშორისო კინოფესტივალზე
დეა კულუმბეგაშვილის ფილმ “დასაწყისი”-ს მსოფლიო პრემიერა გაიმართა სან-სებასტიანის საერთაშორისო კინოფესტივალზე, სადაც იგი ფესტივალის მთავარი ჯილდოს - “ოქროს ნიჟარის” მფლობელი გახდა.

მთავარი ჯილდოს გარდა, ფილმი დაჯილდოვდა კიდევ სამი პრიზით:

- საუკეთესო რეჟისორი (“ვერცხლის ნიჟარა”) - დეა კულუმბეგაშვილი;
- საუკეთესო მსახიობი ქალი (“ვერცხლის ნიჟარა”) - ია სუხიტაშვილი;
- საუკეთესო სცენარი (ჟიურის სპეციალური პრიზი) - დეა კულუმბეგაშვილი და რატი ონელი;

აღსანიშნავია, რომ სან-სებასტიანში დაჯილდოვებამდე რამდენიმე დღით ადრე, “დასაწყისი”-ს ჩრდილოეთ ამერიკული პრემიერა შედგა ტორონტოს საერთაშორისო კინოფესტივალზე, სადაც ფილმს გადაეცა კინოკრიტიკოსთა საერთაშორისო ასოციაციის (FIPRESCI) ჯილდო.

“დასაწყისი” დეა კულუმბეგაშვილის სადებიუტო სრულმეტრაჟიანი ფილმია, რომელიც კანის საერთაშორისო კინოფესტივალის ოფიციალურ სელექციაში მოხვდა. კორონავირუსის პანდემიის გამო, წელს კინოფესტივალი არ ჩატარდა ტრადიციული ფორმით, ოფიციალურ სელექციაში მოხვედრილი ფილმები კი მსოფლიოს წამყვან კინოფესტივალებზე გადანაწილდნენ.





ნინო ორთონიკიძისა და ვანო არსენიშვილის ფილმი “გვირაბი” ტრენტოს კინოფესტივალის გამარჯვებული გახდა

ნინო ორთონიკიძისა და ვანო არსენიშვილის დოკუმენტური ფილმი “გვირაბი” ტრენტოს საერთაშორისო კინოფესტივალის გამარჯვებული გახდა. ფილმს გადაეცა ფესტივალის მთავარი ჯილდო “ოქროს ენციანი” (Golden Gentian).

ფილმის რეჟისორები დაჯილდოვების ცერემონიას ონლაინ ფორმატში დაესწრნენ და ფესტივალის სტუმრებს საქართველოდან მიესალმენ.

“გვირაბის” მსოფლიო პრემიერა 2019 წელს შედგა ამსტერდამის დოკუმენტური ფილმების საერთაშორისო ფესტივალზე (IDFA). ფილმი საქართველო-გერმანიის კოპროდუქციაა. იგი ეროვნული კინოცენტრის მხარდაჭერით შეიქმნა და ამსტერდამში პირველი სრულმეტრაჟიანი ფილმის საკონკურსო პროგრამაში იყო წარმოდგენილი.

წელს ტრენტოს საერთაშორისო კინოფესტივალის ფოკუს ქვეყანა საქართველო იყო. ამასთან დაკავშირებით, ფესტივალის ორგანიზატორებმა მაყურებელს შესთავაზეს ქართული ფილმების რეტროსპექტივა სახელწოდებით DESTINATION... GEORGIA.



ტრენტოში წარმოდგენილი იყო შემდეგი ქართული ფილმები:

1. “სანამ მამა დაბრუნდება” – რეჟისორი მარი გულბიანი;
2. “მზის ქალაქი” – რეჟისორი რატი ონელი;
3. “დედე” – რეჟისორი მარიამ ხაჭვანი;
4. „მე არ გადავკვეთე საზღვარი, საზღვარმა გადამკვეთა მე“ – რეჟისორი თომა ჩაგელიშვილი;
5. “მგლების ქვეყანაში” – რეჟისორი გრეის მაკენზი;
6. “ლეთა” – რეჟისორი დეა კულუმბეგაშვილი;
7. “დაკარგული სოფელი” – რეჟისორი გიორგი თოდრია;
8. “მეკვლე” – რეჟისორი გოდერძი ჩოხელი;
9. “ოგასავარა” – რეჟისორი ტატო კოტეტიშვილი;
10. “ჩვენი სისხლი ღვინოა” – რეჟისორი ემილი რეილსბექი;
11. “მოსავალი” – რეჟისორი მიშო ანთაძე;
12. “კოშკი” – რეჟისორი სალომე ჯაში;
13. “თეთრი ქარავანი” – რეჟისორები ელდარ შენგელაია და თამაზ მელიავა;

ლევან კუხაშვილი საუკეთესო მონტაჟისთვის დააჯილდოვეს

Imagineindia 2020-მა დაჯილდოვების წლებანდელი გამარჯვებულები გამოავლინა.

საუკეთესო მონტაჟის რეჟისორის ჯილდო გადაეცა ლევან კუხაშვილს დიტო ცინცაძის ფილმისთვის “შინდისი”.

აღსანიშნავია, რომ ამავე ფილმისთვის საუკეთესო ოპერატორის ნომინაციაზე წარდგენილი იყო მინდია ესაძე.

“შინდისი” რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომის რეალურ ფაქტებზე დაფუძნებული და გვიყვება სოფელზე, რომელშიც ომმა გაიარა. მთავარ როლებს ფილმში გოგა პიპინაშვილი, დათო ბახტაძე და თამუნა აბშილავა ასრულებენ. ფილმის მსოფლიო პრემიერა ვარშავის საერთაშორისო კინოფესტივალზე შედგა, სადაც გრან პრი და საუკეთესო რეჟისორის ჯილდო მოიპოვა.



საერთაშორისო დოკუმენტური კინოფესტივალი “სინედოკ - თბილისი”

საერთაშორისო დოკუმენტური კინოფესტივალი “სინედოკ - თბილისი” 2020 მერვედ გაიმართა.

“ჩვენ ვქმნით ემოციებს” - კინოფესტივალი წელს ამ სლოგანის გარშემო გაერთიანდა და შეეცადა მაყურებელისთვის ყველაზე რეალური და დაუვიწყარი ემოციები შეექმნა.

კორონავირუსის პანდემიის გამო კინოფესტივალი ინოვაციური ფორმატით ჩატარდა, მან რამდენიმე პლატფორმა მოიცვა და შესაძლებლობა მისცა მაყურებელს მისთვის კომფორტულ გარემოში უახლესი შემოქმედებითი დოკუმენტური კინო ენახა.

კინოფესტივალის ჭილდოები წელს ასე გადანაწილდა:

საერთაშორისო კონკურსი

- საუკეთესო ფილმი - „უმზეო ჩრდილები“ | რეჟისორი- მეჰრად ოსკუეი
- ჟიურის განსაკუთრებული აღნიშვნა - „დედამიწა ფორთოხალივით ლურჯია“ | რეჟისორი: ირინა ცილიკი

Focus Caucasus-ის კონკურსი

- საუკეთესო ფილმი - „პავილიონი“ | რეჟისორები: მარიტა თევზაძე და ანა ჯეგნარაძე
- ჟიურის სპეციალური ჭილდო - „მკვდარი სულების არდადეგები“ | რეჟისორი: კეკო ჭელიძე
- ჟიურის განსაკუთრებული აღნიშვნა - „ლაბირინთი“ | რეჟისორი: ოკტაი ნამაზოვი

„ევროპა, ქოლგა“

„ევროპული კინოს პოპულარიზაციის“ (EFP - European Film Promotion) მხარდაჭრით, ტორონტოს საერთაშორისო კინოფესტივალის ფარგლებში, გაიმართა ღონისძიება - „ევროპა, ქოლგა“. შეიქმნა ონლაინ პლატფორმა, სადაც წარმოდგენილი იყო EFP-ის წევრი 14 ქვეყანა, მათ შორის საქართველოც ეროვნული კინოცენტრის სახით.

ეპიდემიური მდგომარეობის გამო, წელს „ევროპა, ქოლგა“ გაიმართა ონლაინ, 10 სექტემბრიდან 19 სექტემბრის ჩათვლით. პროგრამის ფარგლებში შესაძლებელი იყო საქმიანი შეხვედრების გამართვა, პანელ დისკუსიებში და სხვა ინდუსტრიულ ღონისძიებებში მონაწილეობის მიღება, საქართველოს კინოინდუსტრიის პოპულარიზაცია, ეროვნული კინოცენტრის ლოგოს და სხვა საკომუნიკაციო მასალების (კატალოგი, ფლაერი) განთავსება.



საერთაშორისო ახალგაზრდული კინოფესტივალი „თაობა“

25-30 სექტემბერს თბილისში რიგით მე-3 საერთაშორისო ახალგაზრდული კინოფესტივალი „თაობა“ გაიმართა.

კორონავირუსის პანდემიის გამო დაწესებული შეზღუდვების გათვალისწინებით, წელს ფესტივალი მხოლოდ ქართველი მონაწილეებისთვის ჩატარდა.

ფესტივალის მონაწილე 13-18 წლის ახალგაზრდებისთვის გაიმართა 4 სრულმეტრაჟიანი და 21 მოკლემეტრაჟიანი საკონკურსო ფილმის ჩვენება ეროვნული სასახლის, ეროვნული მუზეუმისა და მზიურის განახლებული პარკის ტერიტორიაზე.

ფესტივალის ფარგლებში, კინოხელოვნებით დაინტერესებულ სტუდენტებს შესაძლებლობა ჰქონდათ დასწრებოდნენ მასტერკლასებს. ორბელიანის მოედანი კი ტრადიციულად მასპინძლობდა თავისუფალ კინოჩვენებებს.

ფესტივალზე გაიცა შემდეგი ჯილდოები:

- სრულმეტრაჟიანი ფილმების კონკურსში გაიმარჯვა ქართველი რეჟისორის, უტა ბერიას ფილმმა „უარყოფითი რიცხვები“;
- მოკლემეტრაჟიანი ფილმების კატეგორიაში გაიმარჯვა იტალიელი რეჟისორის, ემანუელ ალდროვანდის ფილმმა „ღარიბი ბავშვის ტიპური სახელი“;

საქართველოს კანდიდატი ფილმი ოსკარზე



ოსკარზე საქართველოს კანდიდატი ფილმის სტატუსის მოსაპოვებლად წელს 3 ქართული ფილმი იბრძოლებს

ამერიკის კინოაკადემიის 2021 წლის საერთაშორისო სრულმეტრაჟიანი ფილმის ნომინაციისთვის საქართველოს კანდიდატი ფილმის შერჩევა ეროვნულმა კინოცენტრმა 1 სექტემბერს დაიწყო. წარმოდგენილი მოთხოვნების დაკმაყოფილების შემთხვევაში, ქართველ კინემატოგრაფისტებს განაცხადის გაკეთება 30 სექტემბრის ჩათვლით შეეძლოთ.

ვადის ამოწურვის შემდეგ ცნობილი გახდა, რომ წელს ოსკარზე საქართველოს კანდიდატი ფილმის სტატუსის მოსაპოვებლად 3 ქართული ფილმი იბრძოლებს:

- “დასაწყისი” – რეჟისორი დეა კულუმბეგაშვილი
- “უარყოფითი რიცხვები” – რეჟისორი უტა ბერია
- “ურსუსი” – რეჟისორი ოთარ შამათავა


წარმოდგენილი ფილმებიდან საქართველოს კანდიდატ ფილმს გამოავლენს სპეციალური კომისია ფარული კენჭისყრის საფუძველზე. კომისიის წევრებისთვის კვალიფიციური ფილმების ჩვენება იგეგმება ოქტომბრის დასაწყისში. კანდიდატი ფილმის სახელი ცნობილი გახდება 2020 წლის 10 ოქტომბრამდე.

“მაია წყნეთელი” ახალ სიცოცხლეს იწყებს!

1959 წელს გადაღებული ფილმის აღდგენა-რესტავრაცია უკვე დასრულებულია ციფრულ 2K ფორმატში. ხმის გაწმენდა-დამუშავება, გამოსახულების დამუშავება და ფერის კორექცია განხორციელდა “ქართული ფილმი“-ს ბაზაზე.

“მაია წყნეთელი” რეზო ჩხეიძის ერთ-ერთი გამორჩეული ფილმია ქართველი კინოვარსკვლავების მონაწილეობით.

ფილმის აღდგენა-რესტავრაცია მიეძღვნა მეფე ერეკლე II-ის დაბადებიდან 300 წლისთავს.



„მონანიება“ – თენგიზ აბულაძის ფილმის რესტავრაცია დასრულებულია

დასრულდა რესტავრაცია თენგიზ აბულაძის ფილმისა „მონანიება“. სამუშაოები 4 თვის მანძილზე მიმდინარეობდა.

პროექტი განხორციელდა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერით. ამჟამად ეროვნულ კინოცენტრს აქვს ფილმის მაღალპროფესიულ დონეზე რესტავრირებული ვერსია.

ფილმის საწყისი მასალების ჩამოტანა რუსეთის ფილმსაცავ „გოსფილმოფონდიდან“ განხორციელდა 2019 წელს. ამავე წელსვე შედგა კომუნიკაცია კანის საერთაშორისო კინოფესტივალთან. ფესტივალის სურვილი იყო 2020 წელს „მონანიება“ კვლავ ერვენენბინათ კანში, პრესტიჟულ სექციაში „კანის კლასიკა“.

კანის კინოფესტივალის ფილმებს აჩვენებს უმაღლესი ხარისხის ციფრული ფორმატით, ამიტომ ეროვნულმა კინოცენტრმა 2020 წლის იანვარში დაიწყო ფილმის აციფვრა – რესტავრაცია. შესასრულებელი სამუშაოების კომპლექსურობის გათვალისწინებით, ფილმის სკანირება განხორციელდა პრაღაში, ჩეხური სტუდია UPP-ის მიერ (Universal Production Partners – Prague), ხოლო ე.წ. გრეიდინგი, ფერის და ხმის დამუშავება განხორციელდა საქართველოში, სტუდია „ფონოგრაფის“ მიერ პაატა გოძიაშვილის ხელმძღვანელობით.

სამწუხაროდ, წელს კორონავირუსის პანდემიის გამო, კანის საერთაშორისო კინოფესტივალის ჩვეულ ფორმატში არ გაიმართა.

„მონანიების“ მსოფლიო პრემიერა კანის საერთაშორისო კინოფესტივალზე შედგა 1987 წელს. ფილმმა კანში 3 ჯილდო მოიპოვა – ჟიურის „დიდი პრიზი“, „ფიპრესის“ ჯილდო და კათოლიკური ეკლესიის ჟიურის პრიზი ჰუმანიზმისათვის. 1988 წელს კი „მონანიება“ წარადგინეს „ოქროს გლობუსის“ საუკეთესო უცხოენოვანი ფილმის ნომინაციაში.

“უარყოფითი რიცხვები”

Cavea Drive-in ლისი - კინოთეატრი ღია ცის ქვეშ უტა ბერიას ფილმ “უარყოფითი რიცხვები”-ს ჩვენებით გაიხსნა. პირველივე სეანსზე ყველა ბილეთი გაიყიდა.

ფილმის მსოფლიო პრემიერა გაიმართა საფრანგეთში, არასის საერთაშორისო კინოფესტივალზე. საქართველოში ფართო აუდიტორიამ იგი თბილისის საერთაშორისო კინოფესტივალზე 2019 წელს იხილა, სადაც “უარყოფით რიცხვებს” 2 ჯილდო ერგო: ჟიურის სპეციალური აღნიშვნა და საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის პრიზი „ადამიანის უფლებები კინოში“.

მას შემდეგ “უარყოფითი რიცხვები” არაერთ ქვეყანაში აჩვენეს, საქართველოს კინოთეატრებში გამოსვლა კი ფილმმა კორონავირუსის პანდემიის გამო დააგვიანა.

“შინდისი”

8 აგვისტოს კინოთეატრში Cavea Drive-in ლისი გაიმართა დიმიტრი ცინცაძის ფილმ “შინდისი”-ს ჩვენება.

“შინდისი” რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომის რეალურ ფაქტებზეა დაფუძნებული და გვიყვება სოფელზე, რომელშიც ომმა გაიარა. მთავარ როლებს ფილმში გოგა პიპინაშვილი, დათო ბახტაძე და თამუნა აბშილავა ასრულებენ. ფილმის მსოფლიო პრემიერა ვარშავის საერთაშორისო კინოფესტივალზე შედგა, სადაც გრან პრი და საუკეთესო რეჟისორის ჯილდო მოიპოვა.



“ზაფხულის კინოსკოლა” საქართველოს საოკუპაციო ხაზთან მდებარე და მაღალმთიან სოფლებში

პროექტი ითვალისწინებს საოკუპაციო ხაზთან მდებარე და მაღალმთიან სოფლებში კინოსპეციალისტების მივლინებას, სადაც 2 კვირის განმავლობაში ყოველდღიურად იმართება კინოჩვენებები და ეწყობა დისკუსიები. კორონავირუსის პანდემიის გამო მიღებული უსაფრთხოების ზომებიდან გამომდინარე, კინოჩვენებები ღია ცის ქვეშ ჩატარდა.

წელს პროექტში ჩართული იყო 15 სოფელი, მათ შორის ხურვალეთის, შუაფხოს, ერგნეთ-მამისაანთუბნის, მეჯვრისხევისა და მერეთის მცირეკონტიგენტიანი საჯარო სკოლები.

30 ივლისს კინოსკოლელებს სოფელ ერგნეთში ესტუმრა ეროვნული კინოცენტრის დირექტორი გაგა ჩხეიძე. 5 აგვისტოს კი სოფელ მერეთში ჩავიდა რეჟისორი უტა ბერია მსახიობ თედო ბექაურთან ერთად და პროექტის მონაწილე მოზარდებს თავისი ფილმი “უარყოფითი რიცხვები” წარუდგინა.

“ზაფხულის კინოსკოლა” პირველად 2015 წელს განხორციელდა ეროვნული კინოცენტრის ინიციატივითა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერით. 2016 წლიდან კი პროექტის მხარდამჭერებს ევროკავშირის პროგრამა “შემოქმედებითი ევროპა” შეუერთდა. პროექტის მიზანია საქართველოს რაიონებში კულტურულ-საგანმანათლებლო ცხოვრების გაცოცხლება და ადგილობრივი კულტურული სექტორის გაძლიერება.

პარალელურად საერთაშორისო პროექტ Film Corner-ის ფარგლებში, სკაიპ შეხვედრების საშუალებით გრძელდება მუშაობა ორ აპლიკაციაზე: პროპაგანდა კინოში და კინოს საშუალებით ხელოვნების სწავლება. მოხდა საერთაშორისო ექსპერტების მიერ მოწოდებული მასალების თარგმნა ქართულ ენაზე. იგი საბოლოო სახეს მიიღებს და ხელმისაწვდომი იქნება წლის ბოლოსთვის.

გადრა ამისა, 17-18 სექტემბერს ხორვატიის „შემოქმედებითი ევროპის“ მედია დესკის მოწვევით, კინოცენტრმა მონაწილეობა მიიღო ონლაინ კონფერენციაში - Children & Youth - the Importance of Dedicated.

პროგრამა "გადაიღე საქართველოში"



Universal Studios ლოკაციის მენეჯერები საქართველოში

საქართველოს სამუშაო ვიზიტით ესტუმრნენ Universal Studios ლოკაციის მენეჯერები ილტ ჯონსი, ლორი ბალტონი და პიტერ გლუკი. მათ სხვადასხვა დროს უმუშავიათ ისეთ ფილმებზე როგორებიცაა: The Suicide Squad, Captain Marvel, Black Panther, Transformers, Iron Man, The Dark Knight Rises, Inception, The Lion King, Once Upon a Time... In Hollywood, Pirates of the Caribbean, Mr. & Mrs. Smith, Mission: Impossible, X-Men და სხვა.

ვიზიტი განხორციელდა სააგენტოს „აწარმოე საქართველოში“, USAID-ის ეკონომიკური უსაფრთხოების პროგრამის, საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრისა და საქართველოს კინოკლასტერის თანამშრომლობის ფარგლებში.

ლოკაციის მენეჯერები გაეცნენ საქართველოს კრეატიულ ინდუსტრიას და მის პოტენციალს. ამასთანავე, მათ მოინახულეს გადასაღებად საინტერესო ადგილები ქვეყნის მასშტაბით.



22 სექტემბერს ეროვნულ კინოცენტრში გაიმართა საინფორმაციო შეხვედრა, რომელზეც მოწვეულმა მხარეებმა განიხილეს კინოარქივების, უფრო ზუსტად, კინოფირების საცავების საკითხი.

შეხვედრას ეროვნული კინოცენტრის თანამშრომლებთან ერთად ესწრებოდნენ: ნანა დოლიძე (საქართველოს განათლების მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს კულტურის დეპარტამენტის უფროსი), თეონა იაშვილი (სსიპ ეროვნული არქივის დირექტორი), გიორგი კაკაბაძე (კინოფოტოფონოდოკუმენტების ცენტრალური არქივის დირექტორი), რუსუდან მანჯგალაძე (საზოგადოებრივი მაუწყებლის სატელევიზიო არხების ხელმძღვანელი), ხათუნა ხუნდაძე (კინოსტუდია „ქართული ფილმის“ დირექტორთა საბჭოს წევრი) და გიორგი ხარებავა (კინოსტუდია „ქართული ფილმის“ დირექტორთა საბჭოს წევრი).

შეხვედრის მსვლელობისას აღნიშნული ინსტიტუციების წარმომადგენლებმა ისაუბრეს ფირსაცავებში არსებული მდგომარეობის შესახებ, განიხილეს კინოარქივებთან დაკავშირებული იურიდიული თუ ტექნიკური საკითხები და დასახეს საერთო სახელმწიფო ფირსაცავის დაარსების და კინოფირების მსოფლიო სტანდარტების მიხედვით მოვლა-შენახვის კონკრეტული სამოქმედო გეგმა. ერთობლივად შემუშავებული პროექტი უახლოეს ხანებში მთავრობას წარედგინება განსახილველად.

კინოჟურნალის პრეზენტაცია



ეროვნულმა კინოცენტრმა უმასპინძლა ჟურნალ “კინ-0”-ს პირველი ნომრის პრეზენტაციას. ღონისძიება სასტუმრო “სტამბა”-ს ამფითეატრში რეგულაციების სრული დაცვით ჩატარდა.

პრეზენტაცია ეროვნული კინოცენტრის დირექტორმა - გაგა ჩხეიძემ გახსნა, შემდეგ კი აუდიტორიას ჟურნალის მთავარმა რედაქტორებმა - თეო ხატიაშვილმა და გიორგი რაზმაძემ მიმართეს.

ჟურნალის პირველი ნომერი დროს მიეძღვნა – კინემატოგრაფის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კომპონენტს.

პრეზენტაციას კინოსექტორისა და მედიის წარმომადგენლები დაესწრნენ.

- დოკუმენტური ფილმის პროექტი “წყალს საზღვრები არ აქვს” (რეჟისორი - მარადია ცაავა, პროდიუსერები - მარიამ ჭაჭია, ლუჩიანო გლორ) “კავკასიის ახალი ტალანტების” (NEW TALENTS CAUCASUS) ორგზის გამარჯვებული გახდა! მარადია ცაავა მონაწილეობას მიიღებს საერთაშორისო კინოფესტივალებზე Cinéma du réel და Doclisboa, სადაც რეჟისორს შესაძლებლობა ექნება ინდუსტრიულ პროგრამებში წარადგინოს პროექტი.
- სარაევოში ინდუსტრიული დღეების მონაწილე ქართული პროექტები დააჯილდოვეს. კინოფესტივალის პარტნიორების მიერ დაწესებული ერთ-ერთი ჯილდო IDFA Project & DOK Prewiev Award წილად ხვდა ქეთევან კაპანაძის დოკუმენტური ფილმის პროექტს “ჩემპიონები”. ანა ურუშაძეს კი გადაეცა ჯილდო FILM CENTER SERBIA CINELINK AWARD 10 000 ევროს ოდენობით. აღსანიშნავია, რომ სარაევოში სინელინკის ინდუსტრიული დღეების მონაწილე იყო კიდევ ერთი ქართული პროექტი - ნიკოლოზ ბეჟანიშვილის დოკუმენტური ფილმის პროექტი “აღდგომა”.
- ქეთი მაჭავარიანის პროექტი “მზიური” ბელგრადის დოკუმენტური ფილმების საერთაშორისო ფესტივალის ინდუსტრიული პროგრამის (Beldocs in Progress) გამარჯვებულია. “მზიური” საუკეთესო პროექტის ჯილდოს მფლობელი გახდა. აღსანიშნავია, რომ პროგრამაში მონაწილეობდა კიდევ ერთი ქართული პროექტი - გიორგი ვარსიმაშვილის “სცენა”.
- ირაკლი მეტრეველსა და ნოდარ ნოზაძის პროექტი C2C Work-in-Progress Market-ის გამარჯვებული გახდა. პროექტის სახელწოდებაა ROMA AND THE CAMEL MAN.



საქართველოს კინემატოგრაფიის
ეროვნული ცენტრი
Georgian National
Film Center

ეროვნული კინოცენტრის მხარდაჭერით შექმნილი ფილმების შესახებ უზუსტობის აღმოჩენის ან დამატებითი ინფორმაციის ფლობის შემთხვევაში, შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ და მოგვანოდოთ ინფორმაცია შემდეგ ელექტრონულ მისამართზე info@gnfc.ge

საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი

სანაპიროს #4
თბილისი 0105, საქართველო

ტელ: +995 32 299 92 00

info@gnfc.ge

www.gnfc.ge

www.filmcommission.ge